



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 466

13 სექტემბერი
“ — ” — — — — — 2024 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.15.001.289; №01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის №24.1535.1747 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი №1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.15.001.289; №01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01242145-67 (№012423728-67; №01242463733-67; №01242493859-67; №012425227-67; №01242534355-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1535.1747
11 / სექტემბერი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 1 აგვისტოს N01242145-67 (N012423728-67; N01242463733-67; N01242493859-67; N012425227-67; N01242534355-67) განცხადებით მიმართა გიორგი ვეკუამ (პ/ნ 62001013340) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418). საპროექტო მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი: 21 811 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის N347 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

N01242145-67 (N012423728-67; N01242463733-67; N01242493859-67; N012425227-67; N01242534355-67) განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, პროექტის დაგეგმვის მიზანია ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდეს ქალაქგეგმარებითი მოთხოვნების შესაბამისად და შეიქმნას ახალი, მოწესრიგებული უბანი. ტერიტორია განვითარდება მრავალბინიანი



საცხოვრებელი კომპლექსით, რომელიც მოიცავს 13 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობას. პროექტში გათვალისწინებულია სპორტული მოედნის კეთილმოწყობა. საპროექტო წინადადებით იცვლება მიწის ნაკვეთების რაოდენობა და იგეგმება 9 ნაკვეთად გამოიყვანა. ტერიტორიის განვითარდება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)-ით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ითა და სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2)-ით, სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2) გავრცელდება არსებულ სასაფლაოებზე (მშენებლობის უფლების შეზღუდვის პირობით).

ავტოსადგომების განთავსება იგეგმება მიწისქვეშა და მიწისზედა ტერიტორიაზე. კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტოსადგომების სავალდებულო ოდენობა სრულად უნდა განთავსდეს მიწისქვეშ (შენობაში). მიწისზედა ავტოსადგომების ოდენობა შეადგენს 17 ერთეულს.

ტერიტორიაზე ფიქსირდება ელ. გადამცემი ხაზის ქსელი და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ის წყალმომარაგების მილი, პროექტით იგეგმება მათი გადატანა, გადატანის შესაძლებლობის შესახებ დადებითი პოზიციები წარმოდგენილია შესაბამისი უწყებების წერილებით.

საპროექტო ტექ-ეკონომიკური მანვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 21 811 კვ.მ.

არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა: 2

საპროექტო მიწის ნაკვეთების რაოდენობა: 9

შენობების რაოდენობა: 13

მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე: 7 სართული / 24,8 მ.

სექტორი N1 სზ-5, სპეცზ-2

სზ-5

კ-1-0,3

კ-2-1,4 (15060 კვ.მ.)

კ-3-0,4

სექტორი N2 სზ- 5

კ-1-0,3

კ-2-1,6 (2140 კვ.მ.)

კ-3-0,4

სექტორი N3 სზ- 5

კ-1-0,4

კ-2-2,1 (4040 კვ.მ.)

კ-3-0,4

სექტორი N4 სზ- 5

კ-1-0,4

კ-2-2,1 (4040 კვ.მ.)

კ-3-0,4

სექტორი N5 სზ- 5

კ-1-0,4

კ-2-1,8 (3400 კვ.მ.)

კ-3-0,5

სექტორი N6 სზ- 5

კ-1-0,4

კ-2-1,8 (3400 კვ.მ.)

კ-3-0,3

სექტორი N7 სზ-5 (სტადიონი)

კ-1;

კ-2 ;

კ-3 - 0,5 (685 კვ.მ.)

სექტორი N8 ტზ-1

კ-1 ;

კ-2 ;

კ-3 -0,1

სექტორი N9 ტზ-1

კ-1 ;

კ-2 ;

კ-3 -0,1

არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
და სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 10 სექტემბრის N01242543522 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 10 სექტემბრის N01242543227 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01242145-67 (N012423728-67; N01242463733-67; N01242493859-67; N012425227-67; N01242534355-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები:


N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



ვახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01242543522
თარიღი: 10/09/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 9 სექტემბრის №01242534355-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, "დელისი-3"-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 01.14.15.001.418, 01.14.15.001.289; არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)); საპროექტო ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); სპეციალური ზონა 2 (სპეცზ-2); ტზ-1) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში, საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **165 ძირი (ს.კ. 01.14.15.001.418 - №31, №65, №78, №80-№82, №84, №85, №87, №98, №95, №131, №148, №339, №347, №348, №105-№109, №110-№113, №115-№117, №119-№124, №126; №132-№134, №144, №150-№156, №158, №163-№168, №172-№173; №188-№189, №191, №204-№206, №208, №210, №212-№220, №222-№225, №228, №230, №232-№235, №237, №239-№250, №252-№258, №260, №264, №286, №311, №331, №349, №355, №403, №406, №414, №417, №422, №423, №425, №453; №455; №460-462, №465, №466, №478-№480, №482-№484, №497; №505, №506, №525, №548, №590, №594, №610-№611, №618, №621, №625, №626, №631, №622, №633, №634, №642, №649; №652, №654-№656; №660-№661, №667, №672, №680, №682, №686, №692-№695, №717, №723-№724)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ

საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი მწვანე ნარგავების რაოდენობა არც ერთ საკადასტრო ერთეულზე არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/ გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **123 ძირი (ს.კ. 01.14.15.001.418 -№2, №14, №17, №64, №66-№72, №86, №88, №93, №96, №146-№147, №283, №287, №303, №308-№310, №312-№313,, №314-№321, №328-№329, №337, №346, №350-№352, №356, №362, №364-№366, №367, №374, №386, №394, №399-№401, №427, №434, №452, №456, №458, №485-№489, №520, №522, №549-№556, №570-№573, №575, №599, №600, №602, №603, №606, №643-№646, №651, №663, №673, №674, №677, №678, №681, №685, №687-№689, №699-№701, №704-№706, №708-№714, №718-№722, №725-№727, №733, №734, №736, №738-№740)** ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი, ხმობადი, ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა მოიჭრას საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **13 ძირი (ს.კ. 01.14.15.001.418 - №353, №354, №420, №428, №429, №432, №493, №530, №617, №619, №620, №624, №632)** ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **210 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **210 ძირი (ს.კ. 01.14.15.001.418 - №1, №6-№13, №15, №16, №18, №32, №33, №73, №89, №91, №94, №101-№104, №114, №118, №125; №127-№130, №140, №141, №145, №149, №157, №159, №160-№162, №169-№171, №174-№177, №181-№187, №190, №192-№203, №207, №209, №211, №221, №227, №229, №236, №238, №251, №261-№263, №265-№282, №284-№285, №293, №322-№327, №330, №332-№336, №338, №340-№345, №363, №368-№370, №373, №387, №430, №431, №433, №444-№451, №454, №457, №459, №481, №490-№492, №494, №498-№504, №507-№510, №516, №521, №523, №524, №531-№536, №541-**

№547, №574, №580, №604, №605, №607-№609, №612-№616, №623, №628, №630, №647, №648, №653, №657-№659, №662, №669-№671, №675, №676, №690-№691, №696-№698, №702, №703, №707, №715, №716, №735, №737, №741) მწვანე ნარგავი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **2 ძირი (ს.კ. 01.14.15.001.418 -№30, №226,)** გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

ასევე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (საპროექტოდ დასარგავი: **სექტორი №1:** 20 ძირი ამერიკული ცაცხვი; 20 ძირი იფანი გრძელფოთოლა; 20 ძირი იტალიური ფიჭვი; 20 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 20 ძირი წითელი დეკორატიული ტყემალი; **სექტორი №2:** 5 ძირი ამერიკული ცაცხვი; 5 ძირი იფანი გრძელფოთოლა; 5 ძირი იტალიური ფიჭვი; 5 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 5 ძირი წითელი დეკორატიული ტყემალი; **სექტორი №3:** 2 ძირი ამერიკული ცაცხვი; 2 ძირი იფანი გრძელფოთოლა; 2 ძირი იტალიური ფიჭვი; 2 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 2 წითელი დეკორატიული ტყემალი; **სექტორი №4:** 2 ძირი ამერიკული ცაცხვი; 2 ძირი იფანი გრძელფოთოლა; 2 ძირი იტალიური ფიჭვი; 2 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 2 წითელი დეკორატიული ტყემალი; **სექტორი №5:** 3 ძირი ამერიკული ცაცხვი; 3 ძირი იფანი გრძელფოთოლა; 3 ძირი იტალიური ფიჭვი; 3 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 3 წითელი დეკორატიული ტყემალი; **სექტორი №6:** 1 ძირი ამერიკული ცაცხვი; 1 ძირი იფანი გრძელფოთოლა; 1 ძირი იტალიური ფიჭვი; 1 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 1 წითელი დეკორატიული ტყემალი; **სექტორი №7:** 3 ძირი ამერიკული ცაცხვი; 3 ძირი იფანი გრძელფოთოლა; 3 ძირი იტალიური ფიჭვი; 3 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი; 3 წითელი დეკორატიული ტყემალი; **არსებული შესანარჩუნებული მწვანე ნარგავი:** 77 ძირი; **გადასარგავი: სექტორი №1:** 83 ძირი, **სექტორი №3:** 16 ძირი; **სექტორი №4:** 11 ძირი; **სექტორი № 5:** 16 ძირი; **სექტორი №6:** 30 ძირი; **სექტორი №7:** 5 ძირი) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის

სავალდებულო საანგარიშო ფართობს - 8 491 მ² (სექტორი №1: 4 208 მ²; სექტორი №2: 522 მ²; სექტორი №3: 848 მ²; სექტორი №4: 762 მ²; სექტორი №5: 929 მ²; სექტორი №6: 537 მ²; სექტორი №7: 685 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის საინფორმაციო დაფაზე უნდა მიეთითოს ინფორმაცია დასარგავი წიწვოვანი ნერგების პარამეტრების თაობაზე (ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო გარშემოწერილობა - 20 სმ). აღნიშნულ დოკუმენტზე ასევე უნდა დაკორექტირდეს გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01242543227
თარიღი: 10/09/2024

2024 წლის 9 სექტემბრის N 01242534355-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დელისი-3-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთებზე (სკ 01.14.15.001.418 და 01.14.15.001.289) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა დაგეგმილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2024 წლის 8 ივლისის N 01241904201-67 განცხადების პასუხად N 0124191370 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი






LOT NO	LOT AREA (SQM)	LOT FRONTAGE (M)	LOT DEPTH (M)
N12	10.00	10.00	10.00
N1	10.00	10.00	10.00
N2	10.00	10.00	10.00
N3	10.00	10.00	10.00
N4	10.00	10.00	10.00
N5	10.00	10.00	10.00
N6	10.00	10.00	10.00
N7	10.00	10.00	10.00
N8	10.00	10.00	10.00
N9	10.00	10.00	10.00
N10	10.00	10.00	10.00
N11	10.00	10.00	10.00

පරිමිත ව්‍යුහය

- පරිමිත කොටස් වලට පිටත
- පරිමිත කොටස් මායිම
- මුළු පර්චලයේ මායිම
- පරිමිත කොටස්





01.05.2019 09:45:59

STUDIO

STUDIO

STUDIO

STUDIO

STUDIO

STUDIO

STUDIO


STUDIO

STUDIO


STUDIO



3-3




3-3




2-2



4-4





<p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p> <p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p>	<p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p> <p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p>	<p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p> <p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p>	<p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p> <p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p>	<p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p> <p>STAVBA: STAVBA VEŠTĚNÍ</p> <p>PROJEKTANT: STAVPROJEKT, s.r.o.</p> <p>ADRESA: PRAHA 10, PRAHA</p> <p>ČÍSLO: 10/2023</p>
---	---	---	---	---

